PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ვახტანგ ბოგველიშვილი
წევრები: ბარბარე გონაშვილი, ირაკლი მანველიძე

თბილისი, 2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]
სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **23/06/2020 N508538** ბრძანების საფუძველზე, მ/წ 7 ივლისს, სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგის თანახმად, ვიზიტი დაიწყო დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით; ამის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირს, მათ შორის, პროგრამის ხელმძღვანელებს; დღის მანძილზე მოხდა გასაუბრება საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაზე პასუხისმგებელ პირთან. ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენელის ხელშეწყობით დაათვალიერეს დაწესებულების ბიბლიოთეკა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ჩატარდა გასაუბრება საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ ფარგლებში, ასევე პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან; შემოწმდა პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები; ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ბიბლიოთეკის ფონდი და გაესაუბრა ბიბლიოთეკარს. ვიზიტისას, ექსპერტთა ჯგუფში წარმოდგენილი იყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

ექსპერტი. მის მიერ დადგინდა, რომ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებით არ იქმნება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა. ვიზიტის დასასრულს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები და ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულებას გააცნო ვიზიტისას გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტისას გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფისათვის გაფორმდეს ხელშეკრულებები, როგორც იმ ორგანიზაციებთან, ვისთანაც დაწესებულებას უკვე აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, ასევე სხვა ორგანიზაციებთან, რომლებთანაც ითანამშრომლებს მომავალში, და ხელშეკრულებებში იქნება ინფორმაცია რომელი სწავლის შედეგების მიღწევა მოხდება პრაქტიკის ობიექტზე, რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებას შეძლებს ორგანიზაცია ერთდროულად , რა ხანგრძლივობით და სხვა - **შესრულებულია;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Erasor Free

- რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს სასწავლო პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაციის რეგულაცია - **შესრულებულია;**
- რეკომენდებულია კატალოგში ასევე იყოს დაწესებულების ისტორია, აკადემიური კალენდარი, ინფორმაცია სტუდენტების მიღების შესახებ, უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, უნივერსიტეტის ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში, სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და სხვა სარეკლამო ინფორმაცია - **შესრულებულია;**
- რეკომენდებულია ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში კომპიუტერების დამატება (მისამართ, ქ.გორი აღმაშენელის ქუჩა N124) - **შესრულებულია;**
- რეკომენდებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულმა სტრუქტურამ ნათლად ასახოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს და სტრუქტურულ ერთეულებს შორის კავშირი და სტრუქტურას დაემატოს პროფესიული განათლების ცენტრი;
- რეკომენდებულია, განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი, 2018-2024) სტრატეგიული გეგმის მიზნებში, რომლებიც ეხება პერსონალს და სტუდენტურ სერვისებს, გაიწეროს პროფესიული მასწავლებლის განვითარების და პროფესიული სტუდენტების ხელშეწყობის ღონისძიებები - **შესრულებულია;**
- რეკომენდებულია, მოხდეს პროფესიული განათლების ცენტრის დებულებით გათვალისწინებული ხარისხის მართვის მენეჯერის შერჩევა სწავლის დაწყებამდე - **შესრულებულია;**
- პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულ წინასწარ შეთანხმებაში რეკომენდებულია ჩანდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და/ან შესაბამისი მოდულის/მოდულების დასახელება - **შესრულებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

PDF Eraser Free

ხარვეზები არ გამოვლენილა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები:

კომპონენტი 2.2.1(1)

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია კომპონენტის სრულ შესაბამისობაში მოყვანის გეგმის წარმოდგენისა და შესრულების თაობაზე, სადაც ასახულია ამ ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის პერიოდი, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები/აღჭურვილობის შეძენა) და პასუხისმგებელი პირები.

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადის დანართ 4-ში (ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ) ჩამოთვლილი მატერიალური რესურსებიდან ადგილზე ჰქონდა მხოლოდ ნაწილი აღჭურვილობისა, კერძოდ: 21 კომპიუტერი, 1 დაფა, 1 პროექტორი -დემონსტრირების ციფრული საშუალება, 1 კომბაინი (პრინტერი, ასლგადამღები, სკანერის ფუნქციით) და 1 ყალბი ფულის ამომცნობი ულტრაიისფერი დეტექტორი. უნივერსიტეტის წარმომადგენელის განცხადებით, დაწესებულებას გამოცხადებული აქვს ელექტრონული ტენდერი (ტენდერი #NAT200009538) გამომთვლელი მანქანების, ლუპების, ფულის სათვლელი მანქანისა და შტამპების შესყიდვის განხორციელების მიზნით, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. რაც შეეხება რესურსების დარჩენილ ნაწილს (საინკასაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

ჩანთის მულაჟი, ფასეულობებისთვის ქისის მულაჟი, თემატური თვალსაჩინოებები), ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში, დაწესებულებაში მათი არსებობა არ დასტურდება. ცენტრში წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში ნათქვამია, რომ ეროვნულ ბანკთან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, ისინი საჩუქრად გადაეცემა უნივერსიტეტს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაწესებულების მიერ გამოგზავნილ განაცხადში 2.2.1 კომპონენტი დაფიქსირებული იყო „სრულ შესაბამისობაში“ და არ იყო წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ზემოაღნიშნული საკითხი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაში“.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	აკადემიური საბჭოს დადგენილება № 6-39; 10/06/2020
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. გორი, აღმაშენებლის N124
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 (მის: ქ. გორი, აღმაშენებლის N124) მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	51
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. დაწესებულება გაეცნო „შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიას“ (2014-2021 წლები), რომლის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ რეგიონში ბიზნესის განვითარების ხელშემშლელ ფაქტორს „ფინანსური რესურსების მაღალი ღირებულება, სამუშაო სიმძლავრეების სიძველე და კვალიფიციური კადრების სიმცირე წარმოადგენს, ამიტომ რეგიონისათვის კვალიფიციური კადრის მიწოდება, მისი შემდგომი ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობაა.

დაწესებულება ასევე გაეცნო შიდა ქართლის რეგიონის „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმას“, რომელიც მომზადდა ევროკავშირის ორგანიზაციის - Mayors Foreconomic Growth - ის მიერ, 2018 წელს, რომლის SWOT ანალიზის გაცნობის შედეგად, რეგიონის ეკონომიკური განვითარების ძლიერ მხარედ გამოიკვეთა საფინანსო ისტიტუტების მრავალფეროვნება რეგიონში. ეს კიდევ ერთი არგუმენტია იმისათვის, რომ აღნიშნული პროფესიის მიღების შემდგომ დასაქმების შესაძლებლობა რეგიონში არ იქნება პრობლემური და კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა მიეცემათ, რომ ცოდნის მიღების შემდგომ დასაქმდნენ როგორც კერძო საფინანსო მომსახურების სექტორში (ბანკები, მიკრო და მაკრო საფინანსო ორგანიზაციები, სავაჭრო ობიექტები, ფინანსური მომსახურების სფეროს ობიექტები), ასევე საჯარო სექტორში არსებულ სამუშაო ადგილებზე.

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესითა და წარმატებული საქმიანობით ხელს შეუწყობენ თანამედროვე საზოგადოების მაღალგანვითარებულ, სამართლებრივ, დემოკრატიულ, ზნეობრივ და მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე საზოგადოებად გარდაქმნას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, კერძოდ, საბაზო განათლება და არანაკლებ 17 წელი.

3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მოცემული მეთოდოლოგიის მიხედვით. უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა. უნივერსიტეტს, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას, გათვალისწინებული აქვს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, მატერიალური რესურსი, ასევე პრაქტიკის ობიექტების გამტარიანობა. დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, ისინი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას გეგმავენ ორ მიღებად. ყოველივე ამის გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „საფინანსო სერვისები" გამოყოფილი სივრცის რესურსი შეადგენს 20 პროფესიულ სტუდენტს ერთი მიღებისას, შესაბამისად, ორი მიღების შემთხვევაში - 40 პროფესიულ სტუდენტს.

4. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით „საფინანსო სერვისები" გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან.

5. საგანმანათლებლო პროგრამას არჩევითი მოდულები არ გააჩნია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2020 წლის 10 ივნისის N6-39 დადგენილებით;

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის „საფინანსო სერვისების" სახელწოდებას, პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ჩარჩო დოკუმენტს „საფინანსო სერვისები / Finance Services - 04117-პ", უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას და პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები";
2. პროგრამის დამტკიცების აქტი;
3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
4. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
6. პროგრამის საგანმანათლებლო რესურსები;
7. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია;
8. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
9. ინტერვიუირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა მოსაზრებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების თეორიული კომპონენტების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების მფლობელობაში არსებული, თეორიული სწავლებისთვის საჭირო რესურსით აღჭურვილ აუდიტორიებში, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (40 პროფესიული სტუდენტი, ორი მიღების (20/20) შემთხვევაში) გათვალისწინებით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორებთან, რომელთა მატერიალური რესურსები/აღჭურვილობა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული მოდულების „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“ და „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები“ სწავლის შედეგების მიღწევას, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (40 პროფესიული სტუდენტი, ორი მიღების (20/20) შემთხვევაში) გათვალისწინებით. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ რესურსებს/აღჭურვილობას, რომელიც პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა დანარჩენი მოდულების პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის გამოიყენება, **დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადის დანართ 4-ში (ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ) ჩამოთვლილი მატერიალური რესურსებიდან ადგილზე ჰქონდა მხოლოდ ნაწილი აღჭურვილობისა, კერძოდ: 21 კომპიუტერი, 1 დაფა, 1 პროექტორი -დემონსტრირების ციფრული საშუალება, 1 კომბაინი (პრინტერი, ასლგადამღები, სკანერის ფუნქციით) და 1 ყალბი ფულის ამომცნობი ულტრაიისფერი დეტექტორი. უნივერსიტეტის წარმომადგენელის განცხადებით, დაწესებულებას გამოცხადებული აქვს ელექტრონული ტენდერი (ტენდერი #NAT200009538) გამომთვლელი მანქანების, ლუპების, ფულის სათვლელი მანქანისა და შტამპების შესყიდვის განხორციელების მიზნით, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. რაც შეეხება რესურსების დარჩენილ ნაწილს (საინკასაციო ჩანთის მულაჟი, ფასეულობებისთვის ქისის მულაჟი, თემატური თვალსაჩინოებები), ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში, დაწესებულებაში მათი არსებობა არ დასტურდება. ცენტრში წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში ნათქვამია, რომ ეროვნულ ბანკთან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, ისინი საჩუქრად გადაეცემა უნივერსიტეტს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაწესებულების მიერ გამოგზავნილ განაცხადში 2.2.1 კომპონენტი დაფიქსირებული იყო „სრულ შესაბამისობაში“ და არ იყო წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ზემოაღნიშნული საკითხი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაში“. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის წარმოდგენისა და შესრულების თაობაზე;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, მოდულში მითითებული უნდა იყოს განხორციელების ადგილი ან ადგილები, სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელების შემთხვევაში უნივერსიტეტის დასახელება, მისამართი, აუდიტორიის ნომერი, გარემო (A, B, C), ხოლო საწარმოში განხორციელების შემთხვევაში - პარტნიორი ორგანიზაციის დასახელება და მისამართი. ექსპერტთა მიერ მოდულების გადამოწმებისას დადგინდა, რომ მოდულებში ეს ინფორმაცია არაა მითითებული. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, იხელმძღვანელოს მის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით. მოდულში მიუთითოს მეთოდოლოგიით განსაზღვრული ინფორმაცია განხორციელების ადგილ(ებ)თან დაკავშირებით, ან შეიტანოს ცვლილება და ამოიღოს ეს მოთხოვნა.

ვიზიტის დასრულებიდან ახლო პერიოდში, დაწესებულებამ გაითვალისწინა ხსენებული რეკომენდაცია და შეიტანა ცვლილება "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ინსტრუქციაში". აღნიშნული ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: "მოდულში <u>შესაძლებელია</u> მიეთითოს განხორციელების ადგილი ან ადგილები, აუდიტორია. სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელების შემთხვევაში - უნივერსიტეტის დასახელება, მისამართი, აუდიტორიის ნომერი, გარემო (A, B, C), ხოლო საწარმოში განხორციელების შემთხვევაში - პარტნიორი ორგანიზაციის დასახელება და მისამართი". აღნიშნული ცვლილების შესახებ ინფორმაცია დაწესებულებამ ასახა არგუმენტირებულ პოზიციაში და წარადგინა ცენტრში.

2. საგანმანათლებლო პროგრამით „საფინანსო სერვისები“ განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 7 (შვიდი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 2 (ორი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული მოდულების რაოდენობასა (13) და მათი განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობას (2) შორის არსებული თანაფარდობის გამო, ექსპერტთა ჯგუფს გაუჩნდა კითხვები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობასთან დაკავშირებით. როგორც საუბრისას გაირკვა, ადგილი ჰქონდა ტექნიკური ხასიათის უზუსტობას. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადის წარდგენისას დაწესებულებას გამორჩა ერთი პროფესიული მასწავლებლის მითითება განაცხადის დანართ 3-ში (ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ) და შესაბამისად, პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 3 (სამი) პროფესიული მასწავლებელი. დაწესებულებამ ექსპერტებს მიაწოდა მასთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულება და მისი პირადი საქმე. ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ მასწავლებლებს, რომელთაც დაადასტურეს მზაობა მოცემული სასწავლო დატვირთვისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამას დანართის სახით თან ახლავს დოკუმენტი პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით;

3. "საფინანსო სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები აღჭურვილი არიან სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციით, აღნიშნული კომპეტენციები მათ უდასტურდება შესაბამისი კვალიფიკაციით.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. **პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებულ წინარე ხელშეკრულებაში. თუმცა, ხელშეკრულებაში შეთანხმება მხარეებს შორის გულისხმობს მხოლოდ პროგრამით განსაზღვრული გარკვეული მოდულების განხორციელებას და არ ფიქსირდება ჩანაწერი პროგრამის ხელმძღვანელობის დაკისრების შესახებ. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული უზუსტობის გასწორების თაობაზე, რაც შეასრულეს კიდეც ვიზიტის მსვლელობისას.** ვიზიტისას, ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მისი პირადი საქმე. პროგრამის ხელმძღვანელმა ექსპერტებთან გასაუბრებისას განაცხადა, რომ იგი ჩართული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებაში;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით დაწესებულების ვებ-გვერდზე (http://gu.edu.ge/ge/library), ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში, სადაც ხორციელდება პროფესიული პროგრამები, მოწყობილია სამკითხველო დარბაზები და წიგნსაცავები. სამკითხველო დარბაზებში განთავსებულია კომპიუტერები და უზრუნველყოფილია ინტერნეტის მიწოდება. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. წიგნები გატარებულია საინვენტარო წიგნში დადგენილი წესის შესაბამისად.

6. დაწესებულებას აქვს მზაობა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. საჭიროებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, მტკიცდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ-ერთი ფუნქციაა, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა;

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

1. ელექტრონული ტენდერი # NAT200009538;
2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N65, 3 ივლისი, 2020 წელი;
3. განაცხადის დანართი 4 - ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
4. განაცხადის დანართი 3 - ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
5. პედაგოგების პირადი საქმეები;
6. წინარე ხელშეკრულება პროგრამის ხელმძღვანელთან;
7. წინარე ხელშეკრულება პროფესიულ მასწავლებელთან N10, 25.05.2020;
8. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.gu.edu.ge;
9. განაცხადის დანართი 5 - პროგრამის ბიუჯეტი;
10. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
11. დათვალიერების შედეგები;
12. ინტერვიუირება.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების ცენტრთან აქტიური თანამშრომლობით. პროგრამების შეფასება ხორციელდება როგორც გამოკითხვის, ასევე ფოკუს ჯგუფებითა და ინტერვიურებით. შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი. კითხვარი ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე. კვლევების ანალიზს ახორციელებს სასწავლო უნვერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის მენეჯერი, რომელიც პროგრამების განვითარება/გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს რეაგირებისთვის უფლებამოსილ პირს შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად;

2. ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულება გააანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც გააანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, წესების შესაბამისად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი დოკუმენტია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი. პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ. ასევე, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთმოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. დაწესებულებას ჩართულია EMIS-ის ბაზაში და რეესტრი ხორციელდება აღნიშნული ბაზის მეშვეობით;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია, დამტკიცებული სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით;
2. ინტერვიუირება.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საფინანსო სერვისები“ შედგენილია სასწავლო გეგმა, მოდულებში განსაზღვრული საათების შესაბამისად. პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები. პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს დაწესებულების რექტორის 21.08.2019 წლის N1-42 ბრძანებით დამტკიცებული „კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად. კალენდარულ გეგმას შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და მოდულის დაწყებამდე 15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენს ხარისხის მართვის მენეჯერსა და სასწავლო პროცესის მენეჯერს. **დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, როცა მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სასურველია, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასებების ჩატარების პრობლემა. თუმცა, ექსპერტების მიერ სასწავლო გეგმის შესწავლისას გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც დაცული არ იყო წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალი. კერძოდ: მოდულის „უნაღდო ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციები“ წინაპირობაა მოდული „ანგარიშის გახსნა - დახურვა“, მოდულის „სწრაფი ფულადი გზავნილები“ წინაპირობაა მოდული „ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება“, მოდულის „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები“ წინაპირობაა ყველა პროფესიული მოდული. თუმცა, მოდულების „სადეპოზიტო მომსახურება“ და „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“ შემთხვევაში, სასწავლო გეგმაში მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალი არ იყო დაცული. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული უზუსტობის გასწორებასთან დაკავშირებით, რაც გაითვალისწინა კიდეც და ვიზიტის მიმდინარეობისას გაასწორა პირველ ორ მოდულთან დაკავშირებული უზუსტობა.**

რაც შეეხება მოდულის „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები“ წინაპირობებთან დაკავშირებულ უზუსტობას, დაწესებულებამ გაითვალისწინა და გაასწორა ვიზიტის დასრულების შემდგომ. ამის შესახებ ინფორმაცია ასახულია ცენტრში წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და ექნება ადექვატური რეაგირება შემხვედრ საჭიროებებზე. პროფესიულ პროგრამაზე „საფინანსო სერვისები“ წელიწადში მიღება გამოცხადდება ორჯერ, როგორც საგაზაფხულო, ასევე საშემოდგომო. სასწავლო გეგმით განისაზღვრება პროგრამის ხანგრძლივობა და დასრულებისათვის მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელთაც პროფესიული სტუდენტი უნდა ფლობდეს პროგრამის დამთავრებისას. საჭიროების შემთხვევაში, შშმ პირებისათვის უზრუნველყოფილ იქნება შესაბამისი სასწავლო გარემო;

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას. რაც შეეხება დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, **ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულებაში არ დახვდა საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ განხორციელებისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა. უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, გაფორმებულია ხელშეკრულება მომწოდებელთან და შესაბამისი პროგრამის ინსტალაციას უზრუნველყოფენ ვიზიტის დღიდან უახლოეს პერიოდში. დაწესებულებას ექსპერტთათვის არ წარმოუდგენია ხელშეკრულება. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება ვიზიტის პერიოდისთვის ვერ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დარგის თანამედროვე შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, ეს საკითხი ექსპერტთა მხრიდან შეფასდა, როგორც „მეტწილ შესაბამისობაში“.**

დაწესებულებამ ცენტრში წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო (დანართი 4) შპს „ალტა სოფთვეართან“ გაფორმებული შეთანხმება (მემორანდუმი) ურთიერთთანამშრომლობის შესახებ N10072020-01, 10 ივლისი 2020. საგულისხმოა მემორანდუმის გაფორმების თარიღი, 10 ივლისი 2020 წელი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შეთანხმება მხარეებს შორის გაფორმდა ვიზიტის დასრულების შემდგომ.

4. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. დაწესებულებას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის მექანიზმი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის პროფესიული სტუდენტისათვის სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებსა და სწავლის შედეგების მიღწევის გზებს, რომელიც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

პროგრამით განსაზღვრული სასწავლო მიზნებისა და შედეგების ცვლილებას, რომელიც ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და ფოკუსირებულია შედეგზე. პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას გაითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაშიც დაეხმარებათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“;

5. უნივერსიტეტის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებთან დასტურდება ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებით. საგანმანათლებლო დაწესებულებას ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 4 პარტნიორ ორგანიზაციასთან, სადაც განხორციელდება პროგრამით გათვალისწინებული ორი პროფესიული მოდულის, „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“ და „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები“ პრაქტიკული კომპონენტები, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

6. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სასწავლო პროცესი განხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ მოითხოვება დამატებითი, უსაფრთხოების განსაკუთრებული მექანიზმების არსებობა. სასწავლო გარემოში დაცულია უსაფრთხოების ზოგადი ნორმები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“/ Finance services;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

3. სასწავლო გეგმა „საფინანსო სერვისები“;
4. აკადემიური საბჭოს დადგენილება N6-44 სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 10 ივნისის N6-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
5. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია;
6. პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
7. ინტერვიუირება.
8. დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა;

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი, ანუ შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაციის მიმართულებებია: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; შეფასების პროცესის ვერიფიკაცია; შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვ. შესაძლებელია დარგის მოწვეული სხვა სპეციალისტების ჩართულობაც. დაუშვებელია, რომ პირმა, რომელმაც ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, შეამოწმოს იგივე ინსტრუმენტი;

3. საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა წარმოებს შემდეგი პროცედურების დაცვით: შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რის საფუძველზეც, სასწავლო პროცესის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების მონაცემებს ასახავს შეფასების უწყისი ფორმაში. შესრულების მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები, დაწესებულების მიერ გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს, თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

2. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის/ვერიფიკაციის მექანიზმი;

3. ინტერვიუირება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1 - ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი 2 - აკადემიური საბჭოს დადგენილება N6-44 სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 10 ივნისის N6-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
დანართი 3 - სასწავლო გეგმა „საფინანსო სერვისები“;
დანართი 4 - წინარე ხელშეკრულება პროგრამის ხელმძღვანელთან.

24.07.2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------